

# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2022 წლის 1 ივლისი

ქ.ლაგოდეხი

**„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## **მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №14 დადგენილებაში. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 28/07/2014, 010250020.35.167.016126).

## **მუხლი 2**

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ამზადებს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებას(დასკვნას) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;“.

## **მუხლი 3**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

ივანე ხაჩიძე

